პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება

განხორციელების ვადა: 01.01.2023 - 31.12.2025

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 1

მთლიანი ბიუჯეტი: € 1

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Georgian Farmers' Association

Funded by the European Union

პროექტის ვებსაიტები: gfa.org.ge/

პროექტის აღწერა:

პროექტი ხელს უწყობს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, სურსათის უვნებლობის სტანდარტებისა და მომხმარებელთა დაცვის მექანიზმების გაუმჯობესების გზით და ასევე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის გაზრდით. პროექტი მოიაზრებს კოორდინაციას შემდეგ დაინტერესებულ მხარეებთან: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები, სურსათის ეროვნული სააგენტო და გარემოს ეროვნული სააგენტო. დამატებით, პროექტის სამიზნეს წარმოადგენს: სურსათის ბიზნესოპერატორები, მომხმარებლები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციები, მომხმარებელთა უფლებების დამცველი ჯგუფები, მედია, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ადგილობრივი ხელისუფლება და პროფესიული განათლებისა და გადამზადების დაწესებულებები.

მოსალოდნელი შედეგები:

1. სამიზნე ჯგუფების (სურსათის ბიზნესოპერატორების) გაუმჯობესებული შესაბამისობა სურსათის უვნებლობისა და სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმების მოთხოვნებთან;
2. მთავრობის გაუმჯობესებული ანგარიშვალდებულება დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისა და ჩართულობის შედეგად (სურსათის უვნებლობისა და სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმების იმპლემენტაციის პროცესში);
3. გაზრდილი სამოქალაქო ცნობიერება და ჩართულობა სურსათის უვნებლობისა და სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ნორმებთან მიმართებაში.